რა არის ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია?

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 12ბ
ტელ.: 032 2233706 | www.emc.org.ge

დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორთა ჯგუფი და ტექსტში გადმოცემული მოსაზრებები შესაძლოა არ ჩაითვალოს „კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ და Bread for the World-ის პოზიციის გამომხატველად.

ალტერნატივა ჯორჯია

თბილისი, ნუცუბიძის ქ. 14ა, ოფისი #2
ტელ.: 032 2391166 | www.altgeorgia.ge

Brot für die Welt

ctc Empowering People for Change

ადვოკატირების პროექტი: „ოპიოიდებით ჩანაცვლებითი მკურნალობის ხელმისაწვდომობის ადვოკატირება პენიტენციურ სისტემაში“ ხორციელდება ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) და დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი – ალტერნატივა ჯორჯიას მიერ “კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის“ მხარდაჭერით Bread for the World-ის მიერ დაფინანსებული პროგრამის „ჯანმრთელობის, ზრუნვის და სოციალური უფლებებისთვის“ ფარგლებში.

რა არის ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია?

ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია (ოჩთ) ოპიოიდებზე დამოკიდებულების მკურნალობის ყველაზე ეფექტური მიდგომაა. მკურნალობა განკუთვნილია სწრაფი მოქმედების ოპიოიდებზე (მაგალითად ჰეროინი, სირეცი, ოპიუმი, დეზომორფინი, კოდეინი, ფენტანილი) დამოკიდებული მომხმარებლებისთვის, რომლებსაც მკურნალობაში ჩართვის შემდეგ აძლევენ ნელი მოქმედების იპიოიდებს (როგორებიცაა მეთადონი და ბუპრენორფინი). ოჩთ ამცირებს ან აქრობს ნარკოტიკებისადმი ლტოლვას და ეხმარება ადამიანს დამოკიდებული ქცევის კონტროლში. ოჩთ ეფექტური საშუალებაა, რომ მნიშვნელოვნად შემცირდეს არალეგალური ოპიოიდური ნარკოტიკების მოხმარება, აივ ინფექციასთან დაკავშირებული სარისკო ქცევები, დოზის გადაჭარბებისგან გამოწვეული სიკვდილი, კრიმინალური აქტივობები, ფინანსური და სხვა სახის სტრესი, რომლის წინაშეც დგებიან ადამიანები, ვინც მოიხმარს არალეგალურ ოპიოიდებს და მათი ოჯახები. მეთადონი და ბუპრენორფინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მედიკამენტების სიაშია შეტანილი ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ.

როგორ მუშაობს ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია?

მეთადონი და ბუპრენორფინი ხანგრძლივი მოქმედების ოპიოიდებია, რომლებითაც ანაცვლებენ დამოკიდებული ადამიანის მიერ მოხმარებულ ხანმოკლე მოქმედების ოპიოიდებს. ხანგრძლივი მოქმედება ნიშნავს, რომ ნარკოტიკი გაცილებით ნელა მოქმედებს ორგანიზმზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ნელი მოქმედების შედეგად მომხმარებელი არ არის „კაიფში“ და არ აქვს ე.წ „ლომკა“ 24-36 საათის განმავლობაში.

როგორ ვიგრძნობ თავს ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის დაწყებისას?

როდესაც მკურნალობას დაიწყებთ, შესაძლოა იგრძნოთ თავბრუსხვევა ან ძილიანობა რამდენიმე დღის განმავლობაში, მაგრამ ეს ეფექტები მალე გადაივლის. მეთადონი და ბუპრენორფინი არ მიგიყვანთ ე.წ „კაიფამდე“, მაგრამ მოგაშორებთ ნარკოტიკისადმი ფიზიკურ ლტოლვას. მაშინ როცა სტაბილურ დოზამდე მიხვალთ, თავს იგრძნობთ კარგად და შეძლებთ ფოკუსირდეთ თქვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპექტზე - მაგალითად, სამსახური, ოჯახი. რადგანაც მეთადონი და ბუპრენორფინი

ხანგრძლივი მოქმედების ოპიოიდებია, 4-5 დღე დაგჭირდებათ იმისთვის, რომ შეარჩიოთ თქვენთვის საჭირო დოზა.

რა გვერდითი მოვლენები აქვს ოპიოიდებით ჩანაცვლებით თერაპიას?

ზოგიერთი ადამიანი განიცდის გვერდით მოვლენებს ოჩთ-ში ჩართვისას და ისიც მკურნალობის საწყის ეტაპზე და იმ შემთხვევაში თუ მაღალ დოზებზე არიან. გვერდითი მოვლენები მოიცავს:

- შეკრულობა
- გადაჭარბებული ოფლიანობა
- პირის სიმშრალე
- ლიბიდოს ცვლილება
- ძილიანობა და წონის მატება.

შეიძლება თუ არა მეთადონის ან ბუპრენორფინის შერევა სხვა ფსიქოაქტიურ მედიკამენტებთან?

არა, მეთადონის და ბუპრენორფინის შერევა ცენტრალური ნერვული სისტემის დეპრესანტებთან სახიფათოა. მეთადონთან და ბუპრენორფინთან ერთად არ უნდა მიიღოთ სხვა ოპიოიდები, ალკოჰოლი, ბენზოდიაზეპინები (მაგ., დიაზეპამი, ქსანაქსი, ვალიუმი, კლონაზეპამი). მათი მიღება გან-

საკუთრებით სახიფათოა მკურნალობის დაწყების პერიოდში. მეთადონთან და ბუპრენორფინთან ერთად სხვა ნარკოტიკების მიღებას შეუძლია გამოიწვიოს ე.წ „ლომკა“.

რა უსაფრთხოების ზომები უნდა დავიცვა?

ყველა ოპიოიდურ ნარკოტიკულ საშუალებას ახლავს ზედოზირების რისკი. ბუპრენორფინთან შედარებით რისკი უფრო მაღალია მეთადონის შემთხვევაში. რისკი იზრდება განსაკუთრებით მაშინ, თუ მკურნალობის პროცესში განაახლებთ სხვა ოპიოიდების მიღებას. ზედოზირების ნიშნები მოიცავს:

- ბალანსის და კოორდინაციის პრობლემებს
- საუბრის გაძნელებას
- ბუტბუტს
- ძილიანობას
- მოლურჯო ფერის ტუჩებსა და თითებს
- შევიწროვებულ თვალის გუგებს
- გაღვიძების უუნარობას
- შენელებულ სუნთქვას

ასეთ შემთხვევაში გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება და იქონიეთ თან ნალოქსონი.

რამდენი ხანი უნდა ვიყო ოპიოიდებით ჩანაცვლებით მკურნალობაში?

მკურნალობაში ყოფნის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, რამდენი ხანი დაგჭირდებათ, რომ მოაგვაროთ ის საკითხები, რომლებმაც მიგიყვანათ ოპიოიდების მოხმარებამდე. ეს საკითხი შეიძლება იყოს ემოციური, ფიზიკური ან სოციალური. მკურნალობაში ყოფნის ხანგრძლივობა, ასევე, დამოკიდებულია თქვენს ორგანიზმზე. ოპიოდების ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოხმარება ცვლილებებს ახდენს ტვინში, რაც ადამიანებისთვის ართულებს ოპიოიდების გარეშე ცხოვრებას. **მკურნალობის შეწყვეტა იმაზე ადრე, ვიდრე მზად იქნებით ზრდის რეციდივის (არალეგალური ნარკოტიკების მიღების განახლება) და ზედოზირების რისკს.** ხშირად პაციენტები მკურნალობას სულ მცირე 1-2 წლის განმავლობაში მაინც აგრძელებენ, ზოგიერთი კი წლები მკურნალობს. თქვენი მკურნალობის ხანგრძლივობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა არის თქვენთვის საჭირო. მკურნალობაში ყოფნის ვადა თქვენს მკურნალ ექიმთან ერთად უნდა განსაზღვროთ.

როგორ ჩავერთო ოპიოიდებით ჩანაცვლებით მკურნალობაში?

ოპიოიდებით ჩანაცვლებით პროგრამაში ჩართვა შესაძლებელია თუ დაგიდასტურდებათ ოპიოიდებზე დამოკიდებულების დიაგნოზი და აკმაყოფილებთ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან **ერთ-ერთ** კრიტერიუმს:

1. არანაკლებ 21 წლის ასაკი
2. აივ/ინფიცირება, შიდსით დაავადება
3. ორსულობა
4. მიგრანტი ან უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც გამომგზავრების მომენტისთვის ჩართული იყო უცხოეთში ჩანაცვლებით პროგრამებში
5. სხვა, განსაკუთრებული სამედიცინო ან/და სოციალური ჩვენების შემთხვევაში
6. პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირი, გათავისუფლებიდან არაუმეტეს 10 დღის ვადაში, რომელიც გათავისუფლების მომენტისთვის ჩართული იყო ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამაში

პროგრამაში ჩასართავად პაციენტმა უნდა წარადგინოს განცხადება ჩანაცვლებით მკურნალობაში ჩასართავად, რომელსაც თან უნდა ახლდეს პირადობის დამადას-

ტურებელი დოკუმენტის ასლი და ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა NIV-100/ა). მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პირობების არსებობის შემთხვევაში- შესაბამისი დამატებითი დოკუმენტაცია.

სად ფუნქციონირებს საქართველოში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის დაწესებულებები?

ამჟამად სამოქალაქო სექტორში ჩანაცვლებითი თერაპია ხორციელდება სახელმწიფოს დაფინანსებით ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის მიერ საქართველოს მასშტაბით არსებულ 19 განყოფილებაში (იხილეთ დაწესებულებების ჩამონათვალი დანართი 1-ში). ასევე, საქართველოში ხელმისაწვდომია სუბუქსონით ჩანაცვლებითი თერაპიის ფასიანი, კერძო პროგრამები (იხილეთ დანართი 2).

არის თუ არა ჩანაცვლებითი მკურნალობა ხელმისაწვდომი საქართველოს ციხეებში?

ოპიოიდებზე დამოკიდებულ სრულწლოვან პირს აქვს შესაძლებლობა ჩაერთოს მეთადონით ჩანაცვლებითი დეტოქსიკაციის პროგრამაში N2 (ქუთაისი), N5 (ქალების დაწესებულება, თბი-

ლისი) და N8 (თბილისი) პენიტენციურ დაწესებულებაში. აღსანიშნავია, რომ N5 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული ქალი პატიმრების შემთხვევაში პროგრამა ხელმისაწვდომია N18 დაწესებულებაში (ციხის ცენტრალური საავადმყოფო). ციხეებში არსებული მკურნალობა წარმოადგენს ახლად შემოსული პატიმრებისთვის ხანმოკლე დეტოქსიკაციის კურსს, რომელიც მაქსიმუმ 3-6 თვე გრძელდება. მკურნალობაში ჩართვა შეუძლია იმ პირებს, ვინც დაპატიმრებამდე იმყოფებოდნენ ჩანაცვლებით მკურნალობაში სამოქალაქო სექტორში, და აგრეთვე მათ, ვინც დაპატიმრებამდე არ მკურნალობდა, მაგრამ საპატიმროში დაუდასტურდება ოპიოიდებზე დამოკიდებულების დიაგნოზი.

დეტოქსიკაციის კურსის გავლის შემდეგ ჩანაცვლებითი მკურნალობა ციხეში წყდება, თუნდაც პატიმარს გააჩნდეს მკურნალობაში მეტი ვადით (მაგალითად, პატიმრობის სრული ვადით) ყოფნის სურვილი. მკურნალობის ხანგრძლივობის იძულებითი შეზღუდვა ეწინააღმდეგება ჩანაცვლებითი მკურნალობის მთავარ პრინციპს - მკურნალობა უნდა გრძელდებოდეს იმდენ ხანს, რამდენიც საჭიროა პაციენტისთვის მაქსიმალური სარგებლის მისაღებად. ჩანაცვლებითი მკურნალობიდან გასვლის თაობაზე გადაწყვეტილებას უნდა იღებდეს ექიმი და პაციენტი ერთობლივად და ეს გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს პაციენტის მდგომარეობას და საჭიროებებს, და არა ხელოვნურად დაწესებულ ბარიერებსა და შეზღუდვებს.

რა შეიძლება იყოს ჩანაცვლებითი მკურნალობის შეწყვეტის საფუძველი?

ჩანაცვლებითი მკურნალობის გეგმიური დასრულება ხდება მკურნალი ექიმის გადაწყვეტილების და პაციენტთან შეთანხმების მიხედვით. ჩანაცვლებითი მკურნალობის არაგეგმიური შეწყვეტა შესაძლებელია გამოწვეული იყოს პაციენტის მოთხოვნით, მისგან დამოუკიდებელი მიზეზით ან პროგრამიდან გარიცხვით.

პროგრამიდან გარიცხვის კრიტერიუმებია:

1. პირველ ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის (ნარკოტიკის) ექიმის დანიშნულების გარეშე მიღების ფაქტები;

2. დაწესებულების შინაგანაწესის დარღვევა;

3. სამედიცინო პერსონალის მიმართ არაკორექტული მოქცევა;

4. თვეში 5 არასაპატიო გაცდენა.

დარღვევის პირველ შემთხვევაში პაციენტს ეძლევა მკურნალი ექიმის მიერ წერილობითი გაფრთხილება მოსალოდნელი შედეგების შესახებ. თუკი დარღვევა განმეორდა სამედიცინო - საკონსულტაციო კომისია განიხილავს პროგრამიდან გარიცხვის საკითხს და იღებს გადაწყვეტილება პროგრამიდან გარიცხვის და/ან მკურ-

ნალობის გაგრძელების შესახებ. ისეთი დარღვევების შემთხვევაში, როგორებიცაა პერსონალის ან სხვა პაციენტთა მიმართ უხეში მოქცევა, ჩამანაცვლებელი პრეპარატის დაწესებულებიდან გატანის მცდელობა, პრეპარატის მიღებასთან დაკავშირებული დადგენილი წესის დარღვევა, პაციენტი შესაძლოა გაირიცხოს პროგრამიდან პირველივე დარღვევის შემთხვევაში. გარიცხვის გადაწყვეტილების შემთხვევაში, პაციენტს ეძლევა უფლება, რომ ჩაიტაროს მოკლე დეტოქსიკაციის კურსი, რომელიც არ აღემატება 14 დღეს.

როგორ გავასაჩივროთ პროგრამიდან გარიცხვა თუ თვლით, რომ თქვენი უფლებები დაირღვა?

- სამოქალაქო სექტორში მოქმედი პროგრამიდან გარიცხვის შემთხვევაში, შეგიძლიათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროთ სამედიცინო საკონსულტაციო კომისიის გადაწყვეტილება ან თქვენი უფლებების და თავისუფლების დასაცავად მიმართოთ სასამართლოს.

- ციხის პროგრამიდან გარიცხვის შემთხვევაში ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირებს შეუძლიათ ,,პატიმრობის კოდექსის“ და საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაასაჩივრონ მიღებული გადაწყვეტილება.

- თუ თვლით რომ დაირღვა თქვენი უფლებები პენიტენციურ სისტემაში

ჩანაცვლებითი მკურნალობის პროგრამებით სარგებლობის განმავლობაში, შეგიძლიათ ,,პატიმრობის კოდექსის“ XVI თავის მიხედვით წარადგინოთ საჩივარი პენიტენციური დაწესებულების დირექტორთან, საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში კი მისი გადაწყვეტილება გაასაჩივროთ სამსახურის გენერალურ დირექტორთან.

- *საჩივრის ადრესატის განსაზღვრის ან სხვა ტექნიკური საკითხების მოგვარების მიზნით, ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს მოითხოვოს სოციალური განყოფილების მუშაკის კონსულტაცია.*

- *ბრალდებულ/მსჯავრდებულ პირს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს უფლებათა დასაცავად.*

დანართი N1: ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის განყოფილებები

ცენტრის ადმინისტრაცია:

შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“

ტელ: +995 322 30 10 53; +995 598 08 82 26

ელ-ფოსტა: mhpa@mhpa.ge, contact@mhpa.ge

თბილისი:

1. ვაკე საბურთალოს რაიონი, ქავთარაძის ქუჩის ჩიხი №2 (ყოფილი ქავთარაძის ქ. №21 ა) მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის N2 და №19 განყოფილებები
2. ჯავახიშვილის ქ. №51-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის №1 განყოფილება
3. რუსთავის გზატკეცილი №18-22 -ში მდებარეობს №7 განყოფილება
4. მ. ლაღიძის ქ. №6-ში მდებარეობს №8 განყოფილება
5. გლდანის საცხოვრებელ რაიონში, I კვარტლის მიმდებარედ, ნაკვეთი 2/78-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის №9 განყოფილება
6. ქ. თბილისის, თ. ერისთავის ქ. №1 ა-ში მდებარეობს №10 განყოფილება
7. რ. ლაღიძის ქ. №8-ში მდებარეობს №14 განყოფილება
8. ვაჟა-ფშაველას გამზირი №83/11-ში მდებარეობს №16 განყოფილება

რეგიონები:

9. ქ. თელავში, ალადაშვილის ქ. №2-ში მდებარეობს №3 განყოფილება
10. ქ. ოზურგეთში, 26 მაისის ქ. №1 ა-ში მდებარეობს ჩანაცვლებითი თერაპიის №4 განყოფილება
11. ქ. ფოთში, ვაჟა-ფშაველას ქ. №6-ში მდებარეობს №5 განყოფილება

12. ქ. ქუთაისში, დუმბაძის ქ. №59 ა-ში მდებარეობს №6 განყოფილება

13. ქ. ზესტაფონში, 9 აპრილის ქ. №4-ში მდებარეობს №6 განყოფილების ზესტაფონის კაბინეტი

14. ქ. ზუგდიდის, გამარჯვების ქ. №5-ში მდებარეობს №11 განყოფილება

15. ქ. ქობულეთში, რუსთაველის ქ. №121ა-ში მდებარეობს N 15 განყოფილება

16. ქ. გორის, გ. ანწუხელიძის ქუჩა კორპ. №1-ში მდებარეობს N 17 განყოფილება

17. ქ. ბორჯომში, თორის ქ. №1-ში მდებარეობს №17 განყოფილების ბორჯომის კაბინეტი

18. ქ. ბათუმის, ნიკო ჯაყელის ქ. №44-ში მდებარეობს №18 განყოფილება

19. საჩხერის რაიონის სოფელ სხვიტორში, ივ. გომართელის ქ. №17-ში

დანართი N2: სუბუქსონით ჩანაცვლებითი თერაპიის კერძო პროგრამები

თბილისი

1. სამედიცინო ცენტრი „ურანტი“. ფხოვის ქ. №3

2. სამედიცინო ცენტრი „ურანტი“. ვაჟა ფშაველას 83/11 (კლინიკა მედისონის შენობაში, პირველ სართულზე)

3. დამოკიდებულების სამედიცინო მართვის ცენტრი, ხეთაგუროვის ქ. №26

ბათუმი

4. სამედიცინო ცენტრი „ურანტი“. ტბელ აბუსერიძის №4ა

გორი

5. საქართველოს ადიქტოლოგიის სამედიცინო კორპორაცია. მშვიდობის გამზირი №1ა

ქუთაისი

6. საქართველოს ადიქტოლოგიის სამედიცინო კორპორაცია. გრ.ხანცთელის №19

სენაკი

7. საქართველოს ადიქტოლოგიის სამედიცინო. პ. კობახიძის ქუჩა №9